პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 13 სექტემბერი № 211 (17854) ◻ ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

„რთველი—80"

ფუძე ლხინისა

სიღნაღელებმა ცნ ათასი ტონა ყურძნისათვის იბრძვიან

ტრადიციულად სიღნაღის რაიონში რთველს ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა იწყებს. ასე იყო წელსაც.

ფიცხი ადგილიაო, იტყვიან აქაურები. ადრე მწიფდება მოსავალი. ყურძენიც ძალზე ტკბილი იკის, იმ ძვირფას სორნელსაც, მეღვინეების ენით, „ბუკეტს", ქართული ღვინოებს რომ ამშვენებს, სწორედ მზისა და მიწისაგან ითვისებს.

„ღირსაო!" უთქვამს მეფე ერეკლეს, როცა ეს ღვინო დაუგია და სახელიც აქედან შეურქმევიათ. ხირსას, ძველანაგას, ტიბაანს, ჯოჯაანს, ბოდბისხევს ქარგი ზვრები და საკენახე ადგილები აქვთ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ ყველა როდი იყო ათვისებული ამ ძვირფასი ეროვნული კულტურის დანერგვისა და გამრავლებისათვის.

რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენი რესპუბლიკა მევენახეობის განვითარების არნახულ კურსს დაადგა, ამ სოფლებმა, მთლიანად სიღნაღის რაიონმა გაბედული ნაბიჯები გადადგა. თითქმის ერთისამად გაიზარდა ვენახის ფართობი.

...და, რა გასაკვირია, როცა რაიონის გზებსა და გზაჯვარედინებზე გამოკრული ტრანსპარანტებზე წარწერილია: „ვიბრძვით 60.000 ტონა ყურძნისათვის!" სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ ამდენს ეახეთის სამი-ოთხი რაიონი ერთად ვერ აწარმოებდა.

მოყვანა მოყვანაა, და ალანაკლები შრომა მოსავლის დაბანავებას უნდა. ეს კარგად იცვნ რაიონის ხელმძღვანელებმაც და მშრომელებმაც. ყველას ხელი და გულმოდგინება რომ არა, ეს დიდი ამოცანა ვერ შესრულდება.

სწორედ ამიტომ შეიქმნა რაიონში რთველის ოპერატიული გაძღოლის საჯაორდინაციო შტაბი, რომელშიც მონაწილეობენ პარტიის რაიონომების ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომის წევრები, სოფლის მეურნეობის და ალრიკულტურის დარგის მთავარი სპეციალისტები. შტაბის ამოცანაა არათუ ყოველდღე, არამედ ყოველ საათს, ყოველ წუთს იცოდეს, სად რა მდგომარეობაა, მოახდინოს ძალების — ტრანსპორტის თუ მუშახელის ოპერატიული გადანაცვლება, უზრუნველყოს საერთო წარმატება. მასვე ევალება სოციალისტური შეჯიბრების გაძღოლა, რთველში დასაქმებული მშრომელების საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების უზრუნველყოფა.

...რთველის პირველ დღეს, დილით, საკოორდინაციო შტაბის უფროსს, პარტიის რაიკომის მდივანს ნ. ბუჩუკურს აცნობეს, რომ არაკონდიციური სიმწიფის გამო რთველს ვერ იწყებენ ნუკრიანის, მაღაროს და პოდბის კოლმეურნეობები. მუშახელის და ტრანსპორტის გადანაცვლება უმალვე მოხდა ტიბაანის, ძველი ანაგის და სხვა კოლმეურნეობებში. პირველსავე დღეს მათ 1.000 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფეს და მიიტანეს ღვინის მარნებში.

სიტყვამ მოიტანა, და წელს განსაკუთრებით ორგანიზებულად მოემზადნენ რთველის სეზონისათვის ღვინის ქარხნები. ახალი დანადგარების მოწყობასა და რეკონსტრუქციასთან ერთად, მათ დაამონტაჟეს გაცილებით მეტი პურჭელი — 75.000 ტონა ტევადობისა, ვიდრე მათ წელეულს სჭირდებათ. საექსპლოატაციოდ გადაეცა წნორის 20.000 ტონა მწარეშოებლობის ღვინის ქარხანა. ორგანიზებულად, რიტმულად, სრულიად შეუფერხებლად მიმდინარეობს ყურძნის მიღება. წონასაც და შაქრიანობასაც ქარხნის წარმომადგენლებთან ერთად ყურძნის ჩამბარებლები განსაზღვრავენ.

— ყურძენია დედა ღვინისა; ქარხანაში წელს გაცილებით უკეთესი მასალა მოდის, ვიდრე შარშან, — გვითხრა ღვინის საწარმოო კომბინატის მთავარმა ინჟინერ-ტექნოლოგმა ასზორ ქვალიაშვილმა. მისგან დაშნადდება თითქმის ოთხი მილიონი დეციალიტრი საუკეთესო ღვინომასალები, მათ შორის ისეთი, როგორიც არის „ტიბაანი", „ქარდანახი", „ვაზის უბანი".

სიღნაღელებმა აიტაცეს გურჯაანელ მევენახეთა მოწოდება — ფართოდ გაანალონ სოციალისტური შეჯიბრება რთველის შემშვიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დამთავრებისათვის, საუკეთესო ქართული ღვინომასალების დამზადებისათვის. კოლმეურნეობა ეჯიბრება კოლმეურნეობას, ბრიგადა—ბრიგადას, მევენახე—მევენახეს. გამარჯვებულთათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები, კიმპელები, ფულადი საჩუქრები. რთველმა კოლმეურნეებს ეხმარებიან მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

შეჯიბრებაში ჩაებნენ და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს (ჰექტარზე 150-160 ცენტნერი ყურძენი) საქვეყნოდ ცნობილმა მევენახეებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ძველანაგელმა მიხეილ ფეიდაშვილმა, ტიბაანელმა ვლადიმერ ხუციკურაულმა, ხირსელმა სარდიონ მაიმელაშვილმა.

ორ დღეში რაიონის მევენახეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 1.500 ტონა ყურძენი. ეს ძირითადად ტიბაანის, ძველი ანაგის კოლმეურნეობების და ხირსის საბჭოთა მეურნეობის წილად მოდის.

საკოორდინაციო შტაბმა, განიხილა რა რთველის პირველი დღის შედეგები, აღნიშნა, რომ ყურძნის კრეფის ტემპი სრულიადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. დღიური მწარმოებლობა უნდა გაიზარდოს სულ ცოტა 4-5 ათას ტონამდე იმ ანგარიშით, რომ რთველი 20-25 სექტემბრისათვის დამთავრდეს.

საპირველო სტარტი, მუშაობის ორგანიზაცია, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ერთსულოვნება იმის გარანტიას იძლევა, რომ სიღნაღელები დათქმულ პირობას, როგორც ყოველთვის, შეასრულებენ, მოკრეფენ და სახელმწიფოს მიჰყიდიან 65.000 ტონა ყურძენს, პირნათლად შეჯიბრებიან სკკპ XXVI ყრილობის საპატივცემულოდ.

ვლ. მჰედლიშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ყრილობისწინა შრომითი მაჯისცემა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავტომაღლოთ ავტოტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების ბრიგადის ინიციატივის შესახებ, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ე. გ. ახალკაცაშვილი.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის საამქროების, უბნების, ბრიგადების ბეჭრმა მოწინავე კოლექტივმა, 3000-ზე მეტმა მძღოლმა და შემკეთებელმა მუშამ, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ, უკვე უპატაკეს სამშობლოს მეათე ხუთწლედის დავალებების შესრულება. შეჯიბრების მოწინავეებ — თბილისის № 4 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ამხ. ე. გ. ახალკაცაშვილი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა ყოველ ავტომობილზე გამომუშავების გადიდების გზით მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შესასრულოს.

ამ ამოცანის შესრულებას კოლექტივი აპირებს შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფის, მოძრავი შემადგენლობის ეფექტიანი გამოყენებისა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით. ბრიგადამ ვალდებულებით იკისრა სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის გაანაღდოს 1981 წლის ორი თვის გეგმა, ხუთწლედის პირველი წლის დავალება შესრულოს დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავისათვის. დასახული აქვთ 1981 წელს გეგმის გადაჭარბებით გადაზიდონ 60 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და შეასრულონ 300 ათასი ტონაკილომეტრი, კაპიტალურ რემონტამდე ავტომობილების გარბენა გაზარდონ 400 ათასი კილომეტრამდე, ხოლო ავტომობილების პარკის გამოყენების კოეფიციენტი — 0,80-მდე. უკვე ახლა ბრიგადის მუშაობის ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები სჭარბობს საშუალო საკავშირო და საშუალო რესპუბლიკურ დარგობრივ მაჩვენებლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამხ. ახალკაცაშვილის ბრიგადის ინიციატივას რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მუშაკთა საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, მოიწონა იგი და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და ავტოტრანსპორტისა და ეზატაციების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტს დაავალა ყოველი ღონე იხმაროს რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ამ ინიციატივის გავრცელებისათვის, შეიმუშაონ და განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური და მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი, რათა დარგის ბრიგადების, უბნების, კოლონების, საწარმოებისა და გაერთიანებების მუშებმა და კოლექტივებმა წარმატებით შეასრულონ ყრილობის აღსანიშნავი შეჯიბრებისა და მთელი მეთერთმეტე ხუთწლედისათვის ნაკისრი ვალდებულებანი.

სოციალისტური ვალდებულება

თბილისის № 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლების ბრიგადისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ელგუჯა გიორგის ძე ახალკაცაშვილი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ბრიგადის კოლექტივმა, რომელიც გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის მასალებს, აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გამოავლინა დამატებითი რეზერვები, გადაწყვიტა თავისი წვლილი შეიტანოს საყრილობო შეჯიბრებაში. ბრიგადის კოლექტივმა რესპუბლიკის ყველა ტრანსპორტის მუშაკს მოუწოდა აქტიურად ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის და იკისრა შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

— მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალება შეასრულოს 4 წელიწადში;

— შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარების, შრომის პროგრესული მეთოდებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების ფართო გამოყენების გზით 1981 წლის ორი თვის საგეგმო დავალებები შეასრულოს სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის, ხოლო 1981 წლის დავალება — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის;

— 1981 წელს გეგმის გადაჭარბებით გადაზიდოს 60.000 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და შეასრულოს 300.000 ტონაკილომეტრი;

— ავტომობილების ტარების ტექნიკის სრულყოფის, ტექნიკური მომსახურების დროული მოწყობისა და კვების სიხტემის რეგულირების შედეგად დაზოგოს იმდენი საზეთ-საპოხი მასალები, რამდენიც საკმარისია ყრილობის გახსნის დღეს მუშაობისათვის, ხუთწლედის მანძილზე ყოველკვარტალურად ხუთ-ხუთი დღე იმუშაოს დაზოგილი მასალით;

— მაღალხარისხოვანი ტექნიკური მომსახურების, ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლების მეძრავი შემადგენლობის უნარიანი ექსპლოატაციის, ექსპლოატაციის წესების მკაცრად დაცვის გზით ავტომობილების რემონტშორისი გარბენი გაზარდოს 400.000 კილომეტრამდე;

— შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და შრომის მაღალი ორგანიზაციის საფუძველზე საავტომობილო პარკის გამოყენების კოეფიციენტი გაადიდოს 8 პროცენტით და გაზარდოს იგი 80 პროცენტამდე;

— აამაღლოს მძღოლების კვალიფიკაცია, ოთხი მძღოლი გახდეს პირველი კლასის სპეციალისტი და ექვსი — მეორე კლასისა;

— მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები, აგრეთვე მოძრაობის წესები, იმუშაოს უავარიოდ და საწარმოო ტრავმების გარეშე.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ბრიგადის კოლექტივის საერთო კრებაზე.

ზვრების გარაქა

ყურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა (ტონობით).

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის" 12 სექტემბრის ცნობა:

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება
გურჯაანის	150.000	20.264
თელავის	95.000	4.929
ყვარლის	80.000	11.104
სიღნაღის	65.000	11.347
ახმეტის	60.000	—
წითელწყაროს	50.000	13.486
საგარეჯოს	40.000	—
ლაგოდეხის	20.000	248
მარნეულის	27.300	2.306
ბოლნისის	15.500	775

კახეთის რაიონებში რთველის დაწყებიდან მოკრეფილია 61.378 ტონა ყურძენი. ერთ დღეს — 11 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 13.805 ტონა, წინა დღესთან შედარებით 1.503 ტონით მეტი. რესპუბლიკაში სულ მოკრეფილია 64.459 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.245 ტონით მეტი.

გურჯაანის რაიონში ყოველდღიურად ძლიერდება რთველის ტემპი, იკრიფება მწიფე მტევნები, მარნებში იგზავნება დიდძალი ყურძენი. რთველში დიდ წარმატებას აღწევენ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახეები, რომლებმაც გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს.

სურათზე: რთველი სოფელ ჩუმლაყის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის № 11 ბრიგადაში.

ვ. მჰედლიშვილის ფოტო.

ყურადღება: მოსავალი!

ფოთოლი არის, მკრეფავი არ ჩანს!

ლანჩხუთის რაიონის მეჩაიეებმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში შეასრულეს ჩაის ფოთლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა. დღეისათვის მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში დამზადებული აქვთ 13.630 ტონა ფოთოლი. ამჟამად ლანჩხუთელების საბრძოლო დავიზი ასეთია: მივიღეთ ქვეყანას 24.500 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 21.500 ტონისა.

ჩაის ფოთლის კრეფისათვის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ ჩიბათის, მამათის, აკანის, აჯეთის, ნიგუზიანის და სხვა კოლმეურნეობები. სამწუხაროდ, ყველა ერთნაირად როდი იბრძვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ზოგან უკან ეწევიან რაიონის მაჩვენებლებს.

სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელებმა მოწინავეთა შემდეგ დაგვესახელეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და ჩვენც იქ მივედით. პირველად ჯორჟოყვეთის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები დავთვალიერეთ. აქაური მშრომელები 1.520 ტონა ჩაის ფოთოლს ჰპირდებიან სახელმწიფოს, ამ ვალდებულების შესრულებას კი 343 ტონა ფოთოლი აკლია, ეს თავისთავად დიდ დაქაბულ შრომას მოითხოვს, რაც არ იგრძნობა. 8 სექტემბერს, მოეხვედავად ჩინებული ამინდისა, პლანტაციებში ერთეულად ჩანდნენ მკრეფავები. საბოესლიოს სანაპიროზე არსებულ ჩაის პლანტაციებში ფოთოლი უხვად იყო შემოსული, ბევრ ნაკვეთში ზედმეტად გაუხეშებულიყო კიდეც. ნაგრამ თვალწინ ფლანტაციებში 4-5 მეჩაიე კრეფდა ფოთოლს. მათ შორის იყო პენსიონერი პედაგოგი ს. ჭყონია, რომელმაც გულისტკივილით გვითხრა: ეს პლანტაცია გამოწაწყლისი არ გეგონოთ, სხვა ბრიგადებში უფრო ცარიელ ფაქტებს შეხვდებით — თანაც დასძინა: მეჩაიეებს გამართულ მუშაობაში ხელს გვიშლის მთელი რიგი საკითხების მოუგვარებლობა. ხუთი-ექვსი წელია საშველი არ დაადგა სასმელი წყლის გამოყვანას, წარამარა ითიშება ელექტროდენი. ამის გამო არც მაცივარი მუშაობს, არც ტელევიზორი. ეს კი არა, ამბანოც არა გვაქვს. მაგრამ ჩვენს ბოლისტკივილს ყველგან გულგრილად ხვდებიანო.

დაგათვალიერეთ კოლმეურნეობის № 3 და № 9 ბრიგადების ჩაის მასივები (ხელმძღვანელები — კ. კვაჭაძე, ა. ჭყონია), სადაც მთელ რიგ პლანტაციებში ფოთოლი ზედმეტად გაუხეშებული იყო, მკრეფავები კი შუადღის 2-3 საათზეც არ ჩანდნენ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ვინ უნდა ანაზღაუროს ჩაის ფოთლის დიდი დანაკარგები, რაც ჯორჟოყვეთის პლანტაციებში ხდება? ამ საქმეში თავს ვერ იმჭერენ ელექტროენერგეტიკოსები ვ. აფხაზავა, დ. გოგუაძე, დ. გოგიჩაიშვილი და მეურნეობის თავმჯდომარე ს. ცოდია ი.ი.ც, რომ ამ გაცხოველებულ ჩაის კრეფის დღეებში კოლმეურნეობის 25 შრომისუნარიან წევრს შრომის საკალენდარო მოხმარებიც კი არა აქვს გამომუშავებული.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ლესის კოლმეურნეობაში. ჩვენ ვნახეთ „ფოცხერას" ტერიტორიაზე არსებული ჩაის პლანტაციები, სადაც უხვად იყო ფოთოლი, მაგრამ თვალწინ ფართობებში მხოლოდ ორი მკრეფავი — ბ. დარჩია და ჩ. ენუქაძეა მუშაობდნენ, მაშინ როდესაც ბევრგან ფოთოლი გაუხეშებული იყო.

იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ლესელ კოლმეურნეებს ჩაის უხვი მოსავლის მოკრეფის დიდი გამოცდილება აქვთ, ამიტომ ჩვენ გვგონია იმ გულგრილობამ, რომელსაც კოლმეურნეობის № 1 და № 2 ბრიგადების (ხელმძღვანელები — ფ. გოგიჩაიშვილი, ს. ქომახიძე) პლანტაციებში ვავლენდით, სადაც ჩაის ბუჩქები გაუხეშებულია და მოსავალი დიდ დანაკარგებს განიცდის.

საკუთარსა ამინდებია ჩაის საკრეფად, ეს კი ხელიდან არ უნდა გაუშვან ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა. აღნიშნული ბალნიერებების გამოსასწორებლად საჭიროა მეტი ყურადღებაა. ჩამორჩენილებიც ეხმარნენ უნდა ამოიდგენენ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც უკვე მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მოუსობენ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორეს-პონდენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

სოციალისტურ საზოგადოებაში დეპუტატებისადმი ამომრჩეველთა განაწესები დემოკრატიის განხორციელების, მოსახლეობის ნებისა და ინტერესების გამოხატვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის, ხალხის მასებთან საბჭოებისა და დეპუტატების კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი ფორმაა.

ამომრჩეველთა განაწესები ხელს უწყობს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის იმ საარჩევნო პლატფორმის განხორციელებას, რომელიც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას განახორციელებს. ისინი ასახავს საბჭოთა ადამიანების ზრდაცვას ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის სრულყოფის გეგმების შარმატებით შესრულებისათვის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, კომუნისტური აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებიდან გამომდინარე და ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მუხლი 1. ამომრჩეველთა განაწესები წარმოადგენს საარჩევნო კრებების მიერ მოწონებულ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ამომრჩეველთა დავალებებს თავიანთი დეპუტატებისადმი, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობა, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის, მათს ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის, ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 2. განაწესებს ამომრჩევლები იძლევიან საარჩევნო კრებებზე.

საარჩევნო კრება განიხილავს ამომრჩეველთა მიერ შეტანილ წინადადებებს განაწესების შესახებ, ამასთან ხელმძღვანელობს მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობით, საფუძვლიანობითა და განხორციელების რეალურობით.

გადაწყვეტილებას განაწესების შესახებ წინადადებათა მოწონების ან გადახრის თაობაზე იღებენ ღია კენჭისყრით. საარჩევნო კრების დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით, მერე კი გადასცემენ სახალხო დეპუტატთა იმ საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საარჩევნო კრება.

მუხლი 3. ამომრჩეველთა განაწესების აღრიცხვა, განზოგადება და წინასწარი შესწავლა, რომელთა რეალიზაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განმგებლობას განეკუთვნება, ხორციელდება მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ. აღმასრულებელი კომიტეტები შეიმუშავებენ და საბჭოების განსახილველად შეაქვთ წინადადებანი განაწესების შესასრულებლად მიღების შესახებ და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმა. ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმისა და წინადადებების მომზადებაში მონაწილეობენ საბჭოების მუდმივი კომისიები, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მუხლი 4. ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად მიღების გადაწყვეტილებას და მათი შესრულების ღონისძიებათა გეგმას იღებს სახალხო დეპუტატთა საბჭო, რომლის განმგებლობასაც განეკუთვნება შესაბამისი განაწესების რეალიზაცია.

ამომრჩეველთა განაწესები, რომელთა რეალიზაცია განეკუთვნება ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების განმგებლობას, ეგზავნება ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს.

მუხლი 5. სახალხო დეპუტატთა საბჭო, ხელმძღვანელობს რა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ღონისძიებანი ეხებიან ამომრჩეველთა დავალებებს ადგილობრივი ეკონომიკისა და სოციალური განვითარების, ადგილობრივ ბიუჯეტებთან, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების გეგმებით, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გეგმებით.

საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიები ასახავენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის საკითხებს დასკვნასა და თანამოხსენებაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის თაობაზე.

მუხლი 9. სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები უზრუნველყოფენ მათდამი საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გეგმების პროექტებისა და დამტკიცებული გეგმების იმ ნაწილის მაჩვენებლების წარმოდგენას სახალხო დეპუტატთა შესაბამის საბჭოში, რომელიც ეხება ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას.

საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საბჭოს შეუძლია თავისი წინადადებანი შეიტანოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებში.

მუხლი 10. ამომრჩეველთა განაწესების შესრულას ორგანიზაციას უწევს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო. სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირები საბჭოს მიერ დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციას.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები კოორდინაციას უწევენ მათს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას, ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად და იღებენ ზომებს, რათა ეფექტიანად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები და შესაძლებლობანი, ფართოდ ჩააბან მოსახლეობა განაწესების რეალიზაციისათვის მუშაობაში.

მუხლი 11. ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებენ უმაღლესი საბჭოები, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, აღმასრულებელი კომიტეტები, საბჭოების მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ყოველდღიურად მსჯელობენ საბჭოები, როცა განიხილავენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი, ეფექტიანად ეხმარებიან ამომრჩეველთა განაწესების

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ჯურნალზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წიგნის გამოცემის საქმეს — მთელი გულისყური!

1973 წლის მარტში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაობის შესახებ“. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

აღინიშნა, რომ გამსახკომმა (1978 წლის ნოემბრიდან — თავმჯდომარე ამხ. ე. ს. მაღრაძე) განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი რესპუბლიკაში გამომავალი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონის ასამაღლებლად, ბეჭდვითი პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. რამდენადმე მოგვარდა სისტემის საწარმოო საქმიანობა, გაიზარდა მოთხოვნები გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოების მუშაობისადმი.

მაგრამ გამსახკომის ხელმძღვანელობის, მისი აპარატისა და პარტიული ორგანიზაციის, აგრეთვე კომიტეტის საქვეუწყებო გამომცემლობების, პოლიგრაფიული საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება აღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს და სსრ კავშირის გამსახკომის მიერ დასახულ ამოცანებს, საჭიროებს მნიშვნელოვან სრულყოფას იმ დადგენილების შესაბამისად, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

მთელი რიგი გამომცემლობები თავს ვერ ართმევენ სახელმწიფო დაკვალებებს ძირითადი მაჩვენებლებს — ნაბეჭდი თაბახების მიხედვით. მათი მოცულობის მატება უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შეადგენს 12,3 პროცენტს, მაშინ როცა საშუალოდ ქვეყანაში იგი 50 პროცენტს აღემატება.

ვერ მოგვარდა საგამომცემლო პოლიტიკა. უკანასკნელ წლებში გამოსული ზოგიერთი გამოცემა სერიოზული, იდეურ-პოლიტიკური და ფაქტობრივი შეცდომებით ხასიათდება. დაწესებულებებსა და საწარმოებში არის საგგამო, საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო დისციპლინის სერიოზული დარღვევები.

თემატიკური დაგეგმვა, რომელიც საგამომცემლო საქმიანობის საფუძველს შეადგენს, წარმოებს სტიქიურად, ძირითადად ავტორთა წინადადებების საფუძველზე. მასში არ ითვალისწინებენ ლიტერატურის გამოშვების მოწესრიგების, ქაღალდის რაციონალური გამოყენების მოთხოვნებს, რეალიზაციის დროს გეგმები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. არ აღმოფხვრილა გამომცემლობების მიერ დამტკიცებული გეგმის თვითნებური კორექტირების პრაქტიკა.

1978-1979 წლების თემატიკური გეგმების გვერდის ავლით გამსახკომს დაეკალა 200-ზე მეტი დასახელების გამოცემათა ოპერატიული გამოშვება.

ნაკლოვანებები ახასიათებს პერსპექტიულ დაგეგმვასაც, ტირაჟების განსაზღვრისას მასში არ ითვალისწინებენ ბეჭდვითი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობას და მოთხოვნას. ამ გეგმებში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ იზრდება გამოცემების რაოდენობა ტირაჟის შემცირების ხარჯზე, რაც ეწინააღმდეგება წიგნის გამოცემის განვითარების შეხახებ მიღებულ დირექტიულ მითითებებს. წლითიწლობით იზრდება სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახის თვითღირებულება და საავტორო ჰონორარის ხვედრითი წონა. დამაკმაყოფილებად არ არის ორგანიზებული მუშაობა მხატვრული და საყმაწვილო ლიტერატურის გამოსაცემად. მცირდება სკოლამდელი და უმცროსკლასელი ბავშვებისათვის ლიტერატურის გამოშვება. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საბავშვო ლიტერატურის გამოცემას ოფხაზურ და ოსურ ენაზე.

სერიოზული ნაკლოვანებანია აგრეთვე პოლიტიკური ლიტერატურის გამოშვებაში.

ძირეულად უნდა გარდაიქმნას გამომცემლობათა სარედაქციო საქმიანობა: ხელნაწერების მომზადება, წარმოებაში ხელნაწერთა მსვლელობის აღრიცხვა, რეცენზირება, სარედაქციო საბჭოებისა და სექციების საქმიანობა.

პოლიგრაფიულ საწარმოებში არ უზრუნველყოფენ საწარმოო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის — წიგნებისა და ბროშურების გამოცემის მაჩვენებლის მიღწევას. მთლიანი პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების საერთო გეგმების შესრულებას ხშირად მეორეხარისხოვანი ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვების გზით ფარავენ. მთელ რიგ საწარმოებში 1977, 1978, 1979 წლებში გამოვლინდა წამატების, დანაკლისისა და ზედმეტობის ფაქტები. არ არის უზრუნველყოფილი ქაღალდის დაცვა-შენახვა და აღრიცხვა. არიკავენ მისი ტრანსპორტირების წესებს.

კომიტეტის საკონტროლო-სარევიზიო აპარატი თავის ფუნქციებს ფორმალურად ახორციელებს, 38 ანგარიშვალდებულ ორგანიზაციაში რევიზია ორი წელია არ მოწყობილა.

ცუდად არის ორგანიზებული მუშაობა პოლიგრაფისტთა კადრების მომზადებისა და წარმოებაში დამკვიდრებისათვის.

გრძელდება დარღვევები „საქწიგნის“ სისტემაში — ვაჭრობის, დაგეგმვისა და შეკვეთების განაწილების ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა დარგის განვითარების ღონისძიებებს, დამაკმაყოფილებლად არ სრულდება.

გამომცემლობების, წიგნის ვაჭრობის, სტამბების ქსელის საქმიანობას ჯერ კიდევ არ უთმობენ საკმარის ყურადღებას ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. მათ ყურადღებიდან რჩებათ ისეთი საკითხები, როგორიც არის ბეჭდვითი პროდუქციის იდეურ-პოლიტიკური დონისა და ხარისხის კონტროლი, შრომისა და საწარმოო დისციპლინის ამაღლება, პოლიგრაფიული საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც საქართველოს სსრ გამსახკომი და მისი პარტიული ორგანიზაცია ეწევიან „საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 მარტის დადგენილების შესასრულებლად.

გამსახკომის ხელმძღვანელობას წინადადება მიეცა ძირეულად გარდაქმნას თავისი საქმიანობა, აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი.

პარტიის ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიკომს დაევალა განიხილოს საკითხი გამსახკომის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ იმ მიზნით, რომ ამაღლდეს საქართველოს სსრ გამსახკომის აპარატის კომუნისტთა, მთელი შემოქმედებითი კოლექტივის პერსონალური პასუხისმგებლობა გამოშვებული წიგნის პროდუქციის იდეურ-პოლიტიკური დონის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობისათვის.

ცნობად არის მიღებული, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო განიხილავს საკითხებს:

— მეთერთმეტე ხუთწლედისათვის თბილისში ბეჭდვითი სატყვის ცენტრალური სახლის ასაშენებლად კაპიტალური დაბანდების გამოყოფის შესახებ.

— გამსახკომის სისტემის მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი სახლისა და საერთო საცხოვრებლის, ქაღალდისა და პოლიგრაფიული მასალების ცენტრალური საწყობის, თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის წიგნის ბაზების, ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის მშენებლობის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის რეკონსტრუქციის, გამსახკომის სისტემის მუშაკთა დასასვენებელი ბაზის მოსაწყობად სათანადო ნაკეთის გამოყოფის შესახებ;

— რესპუბლიკაში პოლიგრაფისტთა მომზადების, გადამზადებისა და განაწილების გაუმჯობესების შესახებ;

— საქართველოს სსრ გამსახკომისათვის მეთერთმეტე ხუთწლედში იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც უნდა მოხმარდეს პოლიგრაფიული სპეციალობების, წიგნის ვაჭრობის მუშაკთა და გამომცემლობების რედაქტორთა მომზადება-გადამზადებას.

პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს დაევალათ საქართველოს სსრ გამსახკომთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები საოლქო გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაონულ კომიტეტებს დაევალათ ნიადაგ ყურადღების ცენტრში იქონიონ გამომცემლობების, წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციებისა და სტამბების საქმიანობა. იღვაწონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის, მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, შეიმუშაონ პოლიგრაფიული საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა სისტემა.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. ბ. ნემსაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

პოლიგრაფიულ საწარმოთა ურიტმო მუშაობისათვის წარმოების ორგანიზაციასა და კადრების მომზადებაში არსებული მაკლოვანებებისათვის, სტამბებში გამოვლენილი უხეში დარღვევების ფაქტების გამო ქმედითი ღონისძიებების განუხორციელებლობისათვის საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. რ. ნ. კანდელაკს გამოეცხადა საყვედური.

დადგენილებით განსაზღვრულია აგრეთვე რესპუბლიკაში გამომცემლო საქმის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანი. (საინფორმი).

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში

1980 წლის 4-12 სექტემბრის მოეწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბების, ჯარებისა და ფლოტების საამფიბიო ძალების წვრთნა პირობითი სახელწოდებით „თანამებრძოლთა ძმობა-80“, რომელიც გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ბალტიის ზღვის, მის მოსაზღვრე აკვატორიაში.

წვრთნას ხელმძღვანელობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ჰ. ჰოფმანი.

წვრთნის დროს მუშავდებოდა მოკავშირე არმიათა შეიარაღებული ძალების სახეობათა და ჯარების გვარეობათა შენაერთებისა და ნაწილების ერთობლივი საბრძოლო მოქმედების წარმოებისას საბრძოლო შეთანხმებულობისა და ურთიერთმოქმედების საკითხები.

წვრთნამ ორგანიზებულად და ნაყოფიერად ჩაიარა, მან ცხადყო შტაბების ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების, ჯარებისა და ფლოტების საამფიბიო ძალების საველე, საჰაერო და საზღვაო გაწრთვნილობის გაზრდილი დონე. წვრთნამ ხელი შეუწყო მოძმე არმიათა საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის სულისკვეთებით გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მეომართა აღზრდას.

წვრთნის წინაშე დასახული მიზნები მიღწეულია. წვრთნის მონაწილე ჯარები, ფლოტების ძალები და შტაბები ბრუნდებიან მუდმივი დაბინავების (ბაზირების) ადგილებში.

წვრთნის მონაწილეთა პარადი

ბერლინი, 12 სექტემბერი. „თანამებრძოლთა ძმობა-80“ წვრთნის დამთავრებასთან დაკავშირებით მაგდებურგში გაიმართა მოძმე არმიების ჯარების სამხედრო პარადი.

ტრიბუნაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური, კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, მომძე ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი.

თავის გამოსვლებში წვრთნის ხელმძღვანელმა, არმიის გენერალმა ჰაინც ჰოფმანმა და საბჭოთა კავშირის მარშალმა ვ. გ. კულიკოვმა ზაზგასმით აღნიშნეს ჯარების საბრძოლო გაწვრთნილობის მაღალი დონე, შტაბების შეთანხმებული მუშაობა.

• • •

საკედესის კორესპონდენტის თხოვნით წვრთნის შედეგებს განმარტავს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი:

— წვრთნა „თანამებრძოლთა ძმობა-80“ იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიების ანგარიში იმის შესახებ, რომ მზად არიან დაიცვან სოციალისტური ქვეყნების რევოლუციური მონაპოვრები, მიიბადონ თავიანთი ინტერნაციონალური ვალი.

მან შესაძლებლობა მოგვცა ობიექტურად შეგვეფასებინა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების წინაშე დასახული ამოცანების შესრულების ხარისხი და დონე, საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის დონე. ხელი შეუწყო მოკავშირე არმიების გამოცდილების გაზიარებასა და საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებას.

ვითარება იძაგება

სან-ხოსე, 12 სექტემბერი. სან-სალვადორიდან მიღებული ცნობებით, გაერთიანებული სახალხო მოქმედების ფრონტის მომხრეთა ჯგუფმა ბარიკადები მოაწყო დედაქალაქის ცენტრში მდებარე საკათედრო ტაძარში. ასეთ აქციას მათ მიმართეს იმ რეპრესიების პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლებსაც მიმართავს ვაშინგტონის მიერ ზურგგამაგრებული რეაქციული ხუნტა.

დღეს სალვადორის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით ეწყობა დედაქალაქის მშრომელთა რვასაათიანი გაფიცვა. მოელიან, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს 150 ათასამდე კაცი. მუშები მოითხოვენ შეწყვეტონ ტერორი, გააუქმონ საალყო წესები, რომელიც ავტომატურად გრძელდება ამა წლის მარტიდან, აგრეთვე ხუნტის ანტიმუშური დეკრეტები, გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი.

ანალოგიური მოთხოვნები წამოაყენეს დედაქალაქის მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებმა. ხუნტის დანაშაულობათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მათ მოაწყვეს გაფიცვა, რომელშიც 6 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სულ უფრო მწვავდება ვითარება სან-სალვადორში. ქალაქში ჩადგება ბრძოლები სახალხო თავდაცვის რაზმებსა და საარმიო პატრულებს შორის, რომლებიც დედაქალაქშია ძალზე ბევრია. განვლილ დღე-ღამეში აჯანყებულებსა და ხუნტის ჯარებს შორის გაფფრენილი შეტაკებები მოხდა სანტალუსიასა და სან-როკის მუშათა გარეუბნებში.

შეერთებული შტატები ყოველნაირად ცდილობს იხსნას ხუნტა, დაეხმაროს მას, სისხლში ჩაახშოს ხალხის მასების ბრძოლა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, განაცხადა ეურნალისტებთან საუბარში ეროვნული წინააღმდეგობის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა ერნესტო ხოველმა.

ამერიკის იმპერიალიზმი სულ უფრო მზარდი მასშტაბით ამარაგებს სალვადორის რეჟიმს ფულით, იარაღითა და საომარი საჭურვლით, თქვა მან.

ბუნების დაცვა სოციალური პრობლემაა



მონოპოლიების მიზეზით სამრეწველო ნარჩენებისაგან გარემო ბუნების გაუუმჯობესებამ იაპონიაში მწვავე სოციალური კონფლიქტის ხასიათი მიიღო. დემოკრატიული საზოგადოებრიობა მოითხოვს, რომ მთავრობამ ბუნების დასაცავად ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში 15 საათს ბერავდნენ მანქანებიდან გამონაბოლქვი გაზებით 520 კუბომეტრი მოცულობის უზარმაზარ ბუთს, რომელიც შემდეგ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამოკიდეს. ამით კიდევ ერთხელ მიაპყრეს ქვეყნის საზოგადოებრიობის ყურადღება იმ პრობლემას, რომელიც გამოწვეულია ატმოსფეროს მანქანების ნამწვავი გაზებით გაბინძურების შედეგად.

სურათებზე: იაპონის საზოგადოებრიობა მოითხოვს ბუნების დაცვის პრობლემის გადაჭრას (მარცხნივ); მანქანებიდან გამონაბოლქვი გაზებით გაბერილი ბუთი რეგენსბურგის მოედანზე.

საკედესის ფოტოქრონიკა.

თურქეთის ამბები

ანკარა, 12 სექტემბერი. 11 სექტემბერს ღამით თურქეთში სამხედრო გადატრიალება მოხდა. გადატრიალებას სათავეში ჩაუდგა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კ. ევრენი. რადიოთი გამოსვლისას მან განაცხადა, რომ გადატრიალების მიზანია ქვეყანაში შექმნილი საშინაო-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაცია და სტაბილიზაცია. ხ. დემირელის მთავრობა გადაყენებულია.

აქ გამოქვეყნდა ეროვნული უშიშროების საბჭოს კომუნიკე, რომლის თავმჯდომარეა გენერალი კ. ევრენი, და რომლის წევრები არიან აგრეთვე სახმელეთო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალების და ჟანდარმერიის კორპუსის სარდლები. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ყველგან შემოღებულია საგანგებო წესები, ხოლო ანკარაში მოქმედებს კომენდანტის საათი, დათხოვნილია პარლამენტი, შეჩერებულია კონსტიტუციის მოქმედება, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა.

დღეს გენერალმა ევრენმა განაცხადა, რომ ახალი სამოქალაქო მთავრობა ჩამოყალიბდება, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, იქამდე კი ქვეყნის ხელმძღვანელობა სამხედრო პირთა ხელთ იქნება. ევრენის თქმით, დათხოვილი პარლამენტის დეპუტატებს არ დაუწყებენ დევნას სასამართლო ხელისუფლნი იმათ გარდა, ვინც სარგებლობდა რა საპარლამენტო ხელშეუხებლობით, არღვევდა კანონს. ოთხი პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, რომლებიც, როგორც გამოაცხადეს, „დროებით არმიის დაცვის ქვეშ იმყოფებიან“, გაათავისუფლებენ, „როგორც კი სათანადო გარემოებანი შეიქმნება“.

გენერალმა ევრენმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი კვლავაც უერთგულებს ნატოს, პატივს სცემს მის მიერ დადებულ ყველა საერთაშორისო შეთანხმებას და განაგრძობს კარგ ურთიერთობას ყველა მეზობელ ქვეყანასთან.

მსჯავრს ეფერენ კომუნისტ კანდიდატებს

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. ნიუ-იორკის შტატში კომუნისტებმა ხელისუფლებს პეტიცია გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მათი კანდიდატების — კომპარტიის გენერალური მდივნის გ. ჰოლისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ა. დევისის მხარდასაჭერად. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა 40 ათასმა ამერიკელმა. ეს ერთთიორად მეტია, ვიდრე შტატის კანონით არის საჭირო იმისათვის, რომ კანდიდატები შეიტანონ ბიულეტენის სიებში. ამ დღეებში გ. ჰოლისა და ა. დევისის მხარდაჭერის პეტიციია გადასცეს ავრეთვე როდაილენდის შტატის ხელისუფლებს.

დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიამ უკვე მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში 20 შტატში, აგრეთვე დედაქალაქის კოლუმბიის ოლქში.

ამერიკის ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობენ შეზღუდონ კომპარტიის გავლენის ზრდა, ხელი შეუშალონ მის კანდიდატებს საარჩევნო ბრძოლაში. მაგალითად, დღემდე გ. ჰოლსა და ა. დევისს ნება არ დართეს კენჭი იყარონ ოჰაიოს შტატში, თუმცა მათი მხარდაჭერის პეტიციას ჯერ კიდევ მარტში მოაწერეს ხელი საჭირო რაოდენობის ამომრჩევლებმა. მათ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრეს იმ საბაბით, რომ ხელმოწერილი პეტიცია და კომპარტიის განცხადება პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მათი კანდიდატების დასახელების შესახებ ხელისუფალთ სხვადასხვა დროს გადაეცათ. ამ გადაწყვეტილების არაჯანსაღ ნოზომიერება და აბსურდულობა სავსებით ცხადია, რადგან ოჰაიოს შტატის კანონმდებლობაში არ არის დებულება, რომლის თანახმად ორივე დოკუმენტი ერთდროულად უნდა გადაეცეს.

ხელისუფალთა მოქმედებამ, შტატის პროგრესული საზოგადოებრიობის მკაცრი პროტესტი გამოიწვია. პროფკავშირულ ორგანიზაციათა, მეცნიერთა, იურისტთა, საზოგადო და რელიგიურ მოღვაწეთა 89 წარმომადგენელმა დაბეჯითებით მოითხოვა გადასინჯონ რეაქციული გადაწყვეტილება და გ. ჰოლი და ა. დევისი შეიტანონ კენჭისყრის სიებში.

ტერორისტული აქტი

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. სისხლიანი ტერორისტული აქტი ჩაიდინეს კუბელმა კონტრრევოლუციურმა ნაძირალებმა, რომლებიც შეერთებულ შტატებში არიან მოკალათებული. დღეს ადრე დილით ნიუ-იორკში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლობის ატაშე ფელიქს გარსია როდრიგესი. რამდენიმე ხნის შემდეგ უცნობმა პირებმა დარეკეს ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო საგენტოში და განაცხადეს, რომ დანაშაული ჩაიდინა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „ომეგა-7-მა“, რომელსაც ბოლო წლების მანძილზე არაერთხელ მოუხდენია ტერორისტული აქტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადამიანის უფლებათა კომისიის სესიებზე. ეს ორგანიზაცია ებრძვის კუბის ხელისუფლებას.

ტერორისტების მოთხოვნა

ინგლისელი და ავსტრალიელი ტურისტები საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს დაწერილ ღია წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, ჯ. კარტერს ურჩევენ მისდიოს დაძაბულობის შენელების, მეგობრობისა და მშვიდობიანი კურსს.

სტუმრები იყვნენ ვოლგოგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და თვალწათლივ დარწმუნდნენ, თუ რაოდენ დიდია საბჭოთა ადამიანების ლტოლვა მშვიდობისადმი, თუ როგორ ვნებს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმეს თეთრი სახლის კურსი — საბჭოთა სახელმწიფოსთან ვაჭრობის შეკვეცის კურსი.

„გამოთქვამენ რა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ შეზღუდეს საბჭოთა კავშირისათვის ხორბლის მიყიდვა, ტურისტები ამერიკის პრეზიდენტს სთავაზობენ მოუხსნას ემბარგო ადრე გათვალისწინებულ მიწოდებებს. „იმ ქალაქების სასურსათო მომარაგებით თუ ვიმსჯელებთ, სადაც ვიყავით, — ნათქვამია წერილში, — ამ ემბარგოს სრულიადაც არ დაუზარალებია საბჭოთა ხალხი“.

ბაზისა და ბაზალი ამბების საინფორმაციო კორესპონდენტები გვაცნობებენ

ირანის მთავრობის შექმნისათვის

პარიზი, 12 სექტემბერი. როგორც იუწყება ფარსის საინფორმაციო, ირანის პრემიერ-მინისტრმა მ. ა. რაჯაიმ დღეს ისლამური რევოლუციის ლიდერს აიათოლა ხომეინის წარუდგინა თავისი მთავრობის სიები.

საინფორმაციო საგენტოთა ცნობით, ირანის მუდმივი კაბინეტის საბოლოო შემადგენლობის განსაზღვრა იმან დააყოვნა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს ა. ბანისადრს არ მოეწონა 21-დან 7 კანდიდატურა, რომლებიც რაჯაიმ დაასახელა მინისტრთა პოსტებზე. თეირანში მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას, პრეზიდენტმა თავისი უარი იმით ახსნა, რომ სურს ხელი შეუშალოს „უმცირესობის იმ ჯგუფის გეგმების განხორციელებას, რომელიც ანგარების მიზნით ელტვის ძალაუფლებას“.

ამის პასუხად პრეზიდენტი მკაცრად გააკრიტიკეს ისლამური რესპუბლიკის პარტიის ლიდერებმა, რომლის წევრები და მომხრეები პარლამენტში დიდ უმრავლესობას შეადგენენ. მაგრამ ხომეინის განკარგულებით პარლამენტმა განიხილა იმ მინისტრების კანდიდატურები, რომელთა გამო ბანისადრი და რაჯაი ასე თუ ისე შეთანხმდნენ, და მოიწონა ისინი, რის შემდეგ ახალი მთავრობა, თუმცა არასრული შემადგენლობით, შეიკრიბა პირველ სხდომაზე.

პრეზიდენტისა და ისლამური რესპუბლიკის პარტიის ლიდერების ურთიერთობაში შექმნილმა გაჭიანურებულმა კრიზისმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ირანში. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ქვეყნის მაჰმადიანური სამღვდელოების სამმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა — აიათოლებმა მარაში-ნა-ჯაფიმ, შირაზნიმ და გოლპაეგანმ სთხოვეს აიათოლა ხომეინის გამოიყენონ თავისი ავტორიტეტი და ბოლო მოუღოს ამ დავას.

ვიზიტი გადაიდო

პოლონეთის პრესის საგენტოს ცნობა

ვარშავა, 12 სექტემბერი. როგორც პოლონეთის პრესის საგენტო იუწყება, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. კანიას ინიციატივით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დისტენის ვიზიტი, რომელიც სექტემბრის დამლევისათვის იყო გათვალისწინებული შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ გადაიდო.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან პოლონეთისა და საფრანგეთის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებას, და მზად არიან მოაწყონ ეს ვიზიტი ახლო მომავალში.

სკანდალი გრძელდება

ვაშინგტონი, 12 სექტემბერი. ძლიერდება გახმაურებული პოლიტიკური სკანდალი ბილი კარტერის საქმის გამო, რომლის მიჩქმალვის იმედი ასე ჭრონდა ადმინისტრაციას პრეზიდენტის მოახლოებული არჩევნების წინ. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ხმა მისცა იმას, რომ დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიება ამ საქმისა, რომელსაც საფუძვლად უდევს პრეზიდენტის ძმის უკანონო ფინანსური მაქინაციები, მის მიერ დიდი ქრთამის აღება ერთ-ერთი არაბული ქვეყნისაგან ვაშინგტონში მისი ინტერესების „ხელშეწყობისათვის“.

ხმების დიდი უმრავლესობით მოწონებულ რეზოლუციაში წარმომადგენელთა პალატამ მოსთხოვა თეთრ სახლს მიაწოდოს მას გამოძიებისათვის საჭირო მთელი ინფორმაცია და საბუთები. ეს ახალი დარტყმაა კარტერის ადმინისტრაციისათვის, რომლის პრესტიჟი ამერიკელთა თვალში ისედაც ძლიერ შეირყა მისი ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზული დამარცხების, საგარეო-პოლიტიკური კურსის არათანმიმდევრობის და, ბოლოს, პრეზიდენტის ოჯახის „ბელ-ბნელი საქმეების“ მხილების გამო. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ კარტერის შვილი ჩიპი მონაწილეობდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში, აგრეთვე პრეზიდენტის დას მიეცა საეჭვო ფინანსური ურთიერთობა აქვს დამყარებული.

ბაზისა და ბაზალი ამბების საინფორმაციო კორესპონდენტები გვაცნობებენ

ყოველი მხრიდან

12 სექტემბერი

● **ლონდონი.** ინგლისის ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს ქვეყანაში ფუნტის მასის ზრდის შესახებ აქ ვიჩიზნევენ იმის მორიგ დადასტურებად, თუ რა უსუსურია კონსერვატორთა მთავრობის ანტიინფლაციური პოლიტიკა. მონაცემები ნათელყოფს, რომ მარტო ბოლო ორი თვის განმავლობაში ბრიტანეთის კუნძულებზე ბრუნვაში მოქცეული ფუნტის რაოდენობა 8 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

● **დამასკო.** როგორც დამასკოს რადიო იუწყება, ტრიპოლში დამთავრდა სირიის პრეზიდენტის ჰ. ასადისა და ლიბიის რევოლუციის ლიდერის მ. კადაფის მოლაპარაკება. ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე ქვეყანამ გადაწყვიტა გაერთიანდეს ყველა დარგში ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირის ფარგლებში“.

● **მაპუტუ.** მოზამბიკის განვითარების სახალხო ბანკმა დაიწყო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისადმი ფინანსური დახმარების პროგრამის განხორციელება.

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა დეპეშა გაუგზავნეს სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოსა და მშრომელთა პარტიის ორგანიზაციის კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ მენგისტუ ჰაილე მარიამს. დეპეშაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა ხალხის სახელით გულთადად ულოცავენ სოციალისტურ ეთიოპიას ეროვნულ დღესასწაულს — რევოლუციის დღეს.

კრეგული „ერთიან ძმურ ოჯახში“

გამოიცა კრებული „ერთიან ძმურ ოჯახში“. კრებულში შეტანილია მასალები, რომლებიც ასახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სტუმრობას 1980 წლის 27-31 აგვისტოს ალმა-ათაში ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

კრებული დასტამბა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკედესი).

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში

გაითვალისწინა რა სამინისტროთა და უწყებათა თხოვნა, კომიტეტმა გადაწყვიტა კომპლექსური მეცნიერული კვლევიების საპოლემო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ნაშრომების შესრულებისათვის სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

ერთი კაცის სოფელი

ახლა კი მივხედოთ ტყისპირას მარტოდ დარჩენილ ნიკა ჯაჭვაძეს.

გუმანმა არ უმტყუნა ნიკას. ცოლმა სული არ მოათქმევინა ნამგზავრ კაცს, სანამ თავიდან ბოლომდე არ ჩაუკენჭა დღევანდელი ამბავი, — მილიციელებმა ყველა კარმიდამო ჩამოიარეს და გაგვაფრთხილეს, მალე სოფლის გასახლება დაიწყება და თადარიგი დაიჭირეთო.

ნიკას პურიც არ უჭამია, თავ-პირზე ცივი წყალი შეისხა და მაშინვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიაშურა.

— იღუპება ქვეყანა?!

— იღუპება, ნიკავ! დაგვემუქრნენ, თუ ფეხი გაიდგით და გაძალიანდით, მაგის წამალიც ვიცითო! რა წამალი, კაცო, მომკალი და ვერ გამიგია! სოფელს შენი იმედი აქვს, ნიკავ! — უთხრა თავმჯდომარემ.

— მე რა შემიძლია, კაცო!

— შენ გაბედული კაცი ხარ, ენაც გიჭრის! იქნებ თბილისში წახვიდე და მთავრობას მოელაპარაკო.

ნიკამ ხელი ჩაიქნია.

— თბილისიდან მოდის ყველა უბედურება, თორემ მარტო ესენი რას გაგვიბედავდნენ!

— მაშ რა ვქნათ, კაცო!

— იქნებ მოსკოვმა გვიშველოს! ოღონდ გურჯაანმა არ უნდა გაიგოს ჩვენი ჩანაფიქრი!

დაუძახეს სანდო კაცებს, — ალექსი ბარბაქაძეს, ზაქრო მახათაძეს, ალექსი მოდებაძეს და იმ საღამოს მოილაპარაკეს: მოსკოვში სამგზავრო ხარჯის ფულს სოფელი გაიღებს, ოღონდაც კაცი გამოინახოს, ჭერემელი კაცი, ვისაც გულიც ერჩის და ძნელი გზაც ვერ შეაშინებს.

სოფელს კარზე მიდგომოდეს, ერთი კოდი სიმინდი მასესხეო. საქონელი ბლომად გვყავდა, ხარ-კამეჩი, ძროხა, ცხვარი... განთქმული კახური ღორი. ჩვენი ტყეები სავსე იყო წიფელითა და რკოთი. ერთი მანეთი არ გვეხარჯებოდა ღორის შენახვაზე. ველისციხისა და კაჭრეთის ბაზრებს მუდამ ულევად ჰქონდა ჩვენი ღორისა და ფრინველის ხორცი. აქაური მიწა, წყალი და ჰაერი ვენახს მაინცა და მაინც არ უხდება, თორემ სიმინდს კი აგიყებს!

შორიდან რომ შეხედო ჩვენი სიმინდის ყანას, გეგონება, ბავშვიანი ქალები მოდიანო, იმოდენა ტაროს იკეთებს ეს დალოცვილი....

ვანო გელაშვილი: — ოქტომბრის რევოლუციამდე თვითეულ მოსახლეს შვიდი-რვა ჰექტარი მიწა გვქონდა. ტყე და სათიბ-საძოვარი — რამდენიც გინდა. მიწისმზომელი რა იყო, ჩვენმა სოფელმა არ იცოდა. მარილიც კი საკუთარი მოგვეპოვებოდა. ახლაც ამოდის რამდენიმე ადგილას. ახლა მოდი და შეუშვი ამ ყუთიან მიწაზე გამრჯე კაცი, — რა მოხდება? იმ კაცის ბეღელს ქარი ვერ წაიღებს, იმის ძროხას რძე არ გაუშრება.

ჩვენი სოფლის ბარაქა ომიანობამ შეამოწმა. იმ წლებში რამდენი გაჭირვებული ოჯახი შეიხიზნა ჭერემმა! უანგაროდ, უსასყიდლოდ. მხოლოდ ერთმა ჭერემელმა კაცმა (გვარს ნუ მათქმევინებ, კაი შვილები დარჩა) პირი შეირცხვინა და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს ჭიშკარი არ გაუღო. ისეთი ძუნწი იყო, მუჭში ცვარი არ გაეპარებოდა. იმავე საღამოს შეითქვა მთელი ჭერემი, დაუკარგეს იმ საცოდავს სოფლის სალამი და გამარჯობა. მერე კი გვეხვეწა ბევრი, ის ბავშვები დამიბრუნეთო, მაგრამ არა, სოფლის სახელის შერცხვენა არ აპატიეს!

ფატი ჯაჭვაძე: — ომამდე და ომის დროსაც ჭერემში მოდიოდნენ თათრები ქენჭაშვილი, მაჩხაშვილი, მუმლაძე, მირიანაშვილი, მირაშვილი, წიკლაური.

ერთი გურჯაანელი მასწავლებელი მიამბობდა, ძველად ჭერემელ კაცს ყველასაგან გამოარჩევდი, სხვაში არ შეგეშლებოდაო. ხშირად მინახავს, — ჩვენი ქალაქის ქუჩებში ტანად მაღალი, ტყავ-კაბაში ლამაზად მოსხლეტილი მთიელი ქუჩაში ისე მსუბუქად და ჩუმად მოაბიჯებდა, როგორც სიზმარში დადიან, მხარზე — დიდი ჯოხი, ჯოხის ბოლოში კი ფუთაში გამოკრული საგზალი...

ჯგუფად დაეხეტებოდნენ, როგორც ჯიხვებმა იციან. უცბად გამოჩნდებოდნენ, და ასევე უცბად მიეფარებოდნენ თვალს. საზოგადოებაში ხმას არ აუწევდნენ, ხალხი არ შევაწუხოთო.

მაღაზიებშიც თითო-ოროლა შედიოდნენ, დიდი რიდისა და თავდაჭერის კაცები იყვნენ....

კახეთის უძველეს დედაქალაქს, ჭერემს, დღემდე შემორჩა მეხუთე საუკუნეში დაარსებული საეპისკოპოსო ტაძარი.

მეცხრე საუკუნის ძეგლი, გათლილი ქვისაგან ნაგები სასაფლაოს ეკლესია და ულამაზესი საყდარი „თელეთი“ ანუ როგორც აქაურები ეძახდნენ „წვეროდაბალი“.

ზონარგაყრილი წიგნიდან ამოწერილი ცნობა:

სოფელ ჭერემში ცხოვრობდა 383 კომლი.

კოლმეურნეობას ეკუთვნოდა 4726 ჰექტარი მიწა, აქედან — 794 ჰექტარი ფართობი — სახნავ-სათესი იყო.

დანარჩენი — ტყე-ბუჩქნარი, სათიბი და საძოვარი.

შეიძლებოდა ასეთი სოფლის დანგრევა და გაპარტახება?! ამგვარი გამრჯე ხალხის აყრა და გადასახლება?

მერე სად?

„გარდაბნის მინდვრებს დღე და ღამე ვრწყავდით, ყანას კი მაინც უჭირდა, იქა კი სულ ურწყავი მინდვრები გვქონდა და მაინც ორი ხელი არ გვყოფნიდა, რომ ნაჯაფი და ნაამაგარი ცის ქვეშ არ დაგვრჩენოდა“.

ესეც არ იყოს, ღარიბი დედა ვინ გასცვალა მდიდარ დედინაცვალზე!

ჩვენი მთის კაცი მშობელ კუთხეს ადვილად ვერ შეელევა. ამ გაუნელებელ სიყვარულს ისეთი მოწმეები ადასტურებენ, როგორიც არიან: ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი და თედო რაზიკაშვილი.

შაქრო ბარბაქაძემ მითხრა: „ბარადაც არ გვშიოდა, არ გვწყურდა... სადაც ჩვენებური კაცი მარჯვენას მოატრიალებს, იმ ადგილას ქვაც კი აყვავდება, მაგრამ ჩვენი მთის წყალი განა მარტო წყალია, ჩვენი ჰაერი განა მარტო ჰაერია, ჩვენი მიწა და ტყე განა მარტო მიწა-ტყეა! იგი ჩვენი წინაპრების სული და ხორცია, მუდამ თავისკენ რომ გვიხმობს და გვეძახის.

ახლა ბარში რანი ჭართ! ცარიელი ხალათი და ცარიელი შარვალი! ჩვენი სული და ხორცი იქ დარჩა, გომბორის კალთებზე, ჩვენი წინაპრების ლანდების საუფლოში!

გახსოვს ვაჟა-ფშაველა, —

დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
ამიტომ წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

აბესაძე: — „სოფელი კი არა, სამოთხის ანათალი იყო ჩვენი ჭერემი!“

იმ კვირა დილას მოსკოვიდან სასიხარულო ამბავი რომ მოვიდა, სოფელი უნდა დარჩესო, ჭერემელებმა სუფრა და ტაშ-ფანდური გამართეს, ნიკა ჯაჭვაძეს კაცობა დაულოცეს და იმ ღამეს ტკბილად დაიძინეს.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა..

გათენდა შავი ორშაბათი, თბილისიდან ჩამოვიდნენ დასახლება-გადასახლების სამმართველოსა და მილიციის ხელმძღვანელი მუშაკები და ჭერემელებს გამოუცხადეს: „თქვენი სოფელი დედა-ბუდიანად უნდა აიყაროს და გარდაბნის რაიონში, სოფელ გამარჯვებაში გადასახლდესო!“

ამ დღიდან „ცა მობრუნდა რისხვით ჩემკენ, იავარმყო, ამფხვრა სრულად“.

თავდაპირველად რამდენიმე ოჯახი გაასახლეს. ისინი თითქოს ადვილად დაიყოლიეს, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, გასახლებულები უკანვე მოიქცნენ და ამბავი მოიტანეს, — ბარში სასმელი და სახარჯო წყალი ორსამ დღეში ერთხელ მოდის, ისიც დანიშნულ საათებში! თუ იმ დროს ვერ მიიღწარი, ვერე დადექი და ლაზარეს ეხვეწე, ერთი წვიმა მოიყვანეო!

გაჯიქდა სოფელი. „ეგეთ ფულს არ მოგცემთ.

გაჯიქება ეგოდ... [illegible] ლისუფალნი და ჭერემს ჯერ ელექტროსადგური მოუშალეს, სოფელი ბნელში დასტოვეს. მერე წისქვილებს წყალი გადაუგდეს, და, როცა ძალმომრეობამ სოფელი მაინც ვერ გატეხა, მაშინ უებარი წამალი მოიგონეს. სახლების სახურავზე მილიციელები ავიდნენ და კრამიტი გადმოყარეს, აღარც ახლა წახვალთო!

წავიდნენ.

ძალა აღმართს ხნავდა.

წავიდნენ, მაგრამ დღე არ გავიდოდა, ორი-სამი ოჯახი ისევ ჭერემში არ მობრუნებულიყო. ისევ ბარში ერეკებოდნენ, ბარიდან ისევ გამორბოდნენ. იყო ერთი წვიალ-კივილი და ორომტრიალი. მაშინ ადგნენ და ჭერემის გზაზე გუშაგები დაყენეს, ჭერემელებს მთაში მოსაქცევი გზა-ბილიკები გადაუჭრეს.

ბოლოს კი ორად-ორი მოსახლე დარჩა ჭერემში: ნიკა ჯაჭვაძე და ზაქრო მახათაძე.

სოფელ მუკუზანში ქალბატონმა ანეტამ ჩვენ გვაჩვენა ნიკას სურათი. დაეხედე თუ არა, ჩემდაუნებურად ერთი შედარება მყისვე დამიდგა თვალწინ. ალბათ, ასეთი გაუტეხელი ბიჭები ედგნენ მხარში ერეკლე მეფეს, როდესაც იგი ასპინძისაკენ მიიჩქარებდა ცხენს.

მისი გამოხედვა, ტუჩ-პირის კიდეებზე ჩამოქანებული ორი ნაკეცი, მისი დგომა, — მთელი აღნაგობა მხოლოდ ნებისყოფას, უკანდაუხეველი კაცის სიძლიერეს გამოხატავდა.

და როგორც მკითხველი მერე დაინახავს, იგი ბოლომდე სოფლის ერთგული ჭირისუფალი დარჩა.

ნახევარ წელიწადზე მეტი ვერ გაუძლო ზაქრო მახათაძემ ამ უდაბურ სოფელში ცხოვრებას. წავიდა ისიც...

ნიკა ჯაჭვაძე ვერც მაშინ გაეცალა გომბორის კალთებს. და იქცა ჭერემი ერთი კაცის სოფლად.

ერთი ბუხრიდან ამოდიოდა კვამლი. ერთი კოკა იდგა წყაროსთან.

ოთხასი კომლიდან მხოლოდ ნიკას ოჯახი შერჩა ჭერემს.

მოვიდა ზამთარი. დაცარიელებულ სოფელში ძაღლები აღარა ყეფდნენ და მგლებიც უფრო თამამად ყმუოდნენ დათოვლილ სერიდან.

ერთხელ შუაღამისას ჯავრისაგან გულგამოხრულმა ნიკამ ყური მიუგდო ნადირის ყმუილს. მერე უეცრად თვითონაც აყმუვლდა, ბანი მისცა ტყიურს...

— რა დაგემართა, ნიკავ, გაგიჟდი, კაცო! — გამოსძახა ოთახიდან ქალმა.

— მგლებში ვცხოვრობ, ანეტა და, შეგლევით უნდა ვიყმუვლო! — მიუგო ნიკამ.

ერთი კაცის სოფელი...

მაგრამ, როდესაც მეზობელი სახლის სახურავზე ორი ჩარექა თოვლი დადო და კავებმა ჭრიჭინი დაიწყეს, ნიკას გულმა არ გაუძლო, — ნიჩაბს ხელი დაავლო და სახურავზე ავარდა. თოვლი გადმოყარა, მეორე სახლიც გადმოთოვლა. რატომ? ელოდა ვინმეს? არა, ცოდვა იყო უპატრონოდ მიტოვებული სახლი, მაგრამ ერთი კაცი რამდენს გასწვდებოდა! და იმ დიდთოვლობამ გვერდზე წამოაწვინა არა ერთი და ორი სახლი და ბეღელი.

ვიღაც-ვიღაცეებს მაინც არ მოსწონდა, რომ ნიკა ჯაჭვაძე ისევ და ისევ ჭერემს ებღაუჭებოდა. „თუ ეგ აქაურობას არ მოაშორეს, სხვებსაც შეაგულიანებს და გასახლებული ხალხი ისევ ჭერემისაკენ მოიქცევსო კისერს!“.

არ მოასვენეს, ხალხი შეუჩინეს, თანაც ნიკას ბიჭი წამოეზარდა, უსწავლელს ვერ დაადგებდა...

წავიდა უკანასკნელი მოსახლე, დადუმდა ერთი კაცის სოფელი.

ასევე დააცარიელეს ფხოელი და ზიარი.

წვიმდა.

ჩვენმა მეგზურმა, მუკუზნის სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ერთი სახლის ჭიშკართან შეგვაჩერა და გვითხრა:

— აქ ცხოვრობს ჯაჭვაძის ქვრივი. აგერ თვითონაც!

ეზოდან გამოვიდა შავებში ჩაცმული მოხუცი ქალი. კუშტად შეკრული პირისახე ჩვენსკენ მოაბრუნა, უნდოდ შეგვათვალიერა.

— თქვენთან სტუმრები არიან, ქალბატონო ანეტა. შეიძლება შინ შემოვიდეთ? — უთხრა თავმჯდომარემ.

ანეტამ მწყრალად შემოგვხედა. სტუმრების დანახვაზე წარბი არ გაუხსნია, თავმჯდომარეს მიუბრუნდა და ჰკითხა, რა უნდათ, რატომ გარჯილანო...

— თქვენი ოჯახის ამბავი აინტერესებთ!

— მაგენის დაინტერესებამ დააქცია ჩემი ოჯახი! თუ რამე სათქმელი აქვთ, აქაც კარგად გავიგონებ! — მოურიდებლად ჩაილაპარაკა ანეტამ და მხოლოდ მაშინ, როცა თავმჯდომარემ ყურში წასჩურჩულა, მწერლები არიანო, დიასახლისმა ჭიშკარი გაგვიღო და გზა მოგვცა.

დიდხანს ვესაუბრე ნიკა ჯაჭვაძის ქვრივს. მოხუცმა ქალმა შემატყო, რომ უბრალო მოსეირე არ ვიყავ, თანდათან მოლბა და გული გადამიშალა.

...და ისევ მოვიდა გაზაფხული. ბარში უკვე აყვავდნენ ტყემლები და ატმები. აფუებულ მიწას გუთნები მოეკიდნენ. ტრაქტორების გუგუნი და ნადნობის ჩხრიალი ღამეს არ აძინებდა.

ნიკას გულმა არ გაუძლო, ფუთაში საგზალი გამოკრა, ჯოხზე წამოაგო და სოფლიდან გაიპარა.

(გაგრძელება იქნება)

მთას დაუბრუნდა მთიელი

ქართული სოფლის ეპოპეა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

„აი ჩემი ნიკა!“

ს. კილაძის ფოტო.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად დაასახელეს ნიკა ჯაჭვაძე, კაცი ყოვლად პატიოსანი და სოფლის თავდადებული ქომაგი.

— თანახმა ვარ, — სთქვა ნიკამ: — ოღონდ ერთი კაცი უნდა გამაყოლოთ. ფული ჩაიბაროს და ანგარიშიც იმან იცოდეს!

მარტო ერთი ნიკა ჯაჭვაძე მართლაც ცოდვა იყო იმოდენა გზაზე და უცნობ ქალაქში. თანამგზავრად გიო აბესაძე შეურჩიეს.

1953 წელი. ზაფხული.

ნიკა ჯაჭვაძის ნაამბობი (რაც დაამახსოვრდა ნიკას მეუღლეს, ქალბატონ ანეტას).

„მატარებელში ერთი ნასწავლი ქართველი კაცი გავიცანი და ჩემი გასაჭირი ვუამბე. შემპირდა, მოსკოვის მთავრობას კარგად ვიცნობ და უეჭველად დაგეხმარებიო. სიტყვის კაცი გამოდგა. იმ საღამოს სასტუმროში დაგვაბინავა. მეორე დილას მოგვაკითხა და გორკინთან წაგვიყვანა. ბევრი იტრიალა ამ ოთახში, იმ ოთახში, მაგრამ იმ დღეს არაფერი გამოვიდა. მეორე დღესაც მოგვეცარა ხელი. მესამედ კი — კარი თვითონ გორკინმა გაგვიღო და კაბინეტში შეგვიძღვა. მე ქართულად ვლაპარაკობდი, ის ნასწავლი კაცი რუსულად თარგმნიდა. გორკინი თავს მიქნევდა და სულ „ხარაშო, ხარაშოს“ იძახოდა.“

— ქალბატონო ანეტა, იმ ნასწავლი კაცის სახელი არ გახსოვთ? — ვეკითხები ნიკას მეუღლეს.

— მახსოვდა, როგორ არ მახსოვდა, მაგრამ რაც ნიკა გარდაიცვალა, დარდი მომერია, სიბერე მომერია და მისი სახელიც გადამავიწყდა. ისე კი ჩემი ნიკა ჭიქას ხელში არ აიღებდა, რომ მისი სახელი არ ეხსენებინა.

ანეტამ ჩიქილის ყური ტუჩ-პირზე მოისვა და განაგრძო:

„მოსკოვიდან კაცი გამოგვაყოლეს. იმ კაცმა სოფელ ჭერემს სურათები გადაუღო, ჩვენი კედელ-ყურე მოიარა, ცხოვრების ამბები გამოგვკითხა და მეორე თუ მესამე დღეს დაგვემშვიდობა. მალე მოსკოვიდან პასუხი მოვიდა, — ასეთი მდიდარი და მარგალიტი სოფელი დასანგრევად ვინ გაიმეტა, უნდა დარჩესო...

„ჭერემი მართლაც ამ კიდე-კუთხის თვალმარგალიტი იყო, ამას ბევრი ფიცი და გულზე ხელის ბრაგუნი აღარ სჭირდება! — მითხრა ძველი, დაშლილი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვანო ჯაჭვაძემ, — ომის დროს, როდესაც სოფელს მუშახელიც აკლდა და ხარ-კამეჩიც აღარა ჰყოფნიდა, შრომადღეზე, მეტი თუ არა, ნახევარი ფუთი სიმინდი მაინც ნაწილდებოდა. ჭერემის კოლმეურნეობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გარე კახეთის მოსახლეობას ჩვენგან მიჰქონდა სურსათ-სანოვაგე.

შაქრო ბარბაქაძე: — თუ არ გამიწყრები, ბატონო კონსტანტინე, ერთი რამე უნდა მოგახსენო. კოლექტიურმა შრომამ, რა თქმა უნდა, ქართული სოფელი წელში გამართა, მაგრამ ჩვენი ჭერემი მანამდეც ფეხზე იდგა, მაძღარი წვებოდა და მაძღარი იღვიძებდა! სამოცდაათი წლის კაცი ვარ და ჯერ არ მახსოვს, რომ ჩვენებური მიწისმუშა მეზობელ ყარაიიდან და იორმუღანლოდან. მოჰქონდათ შინნაქსოვი ფარდაგები, ხალიჩები, ხურჯინები, ჭრელი წინდები, პაჭიჭები და სიმინდზე გვიცვლიდნენ. მე მაშინ პატარა ვიყავ, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ჩალისფერი, კუზიანი აქლემები და სიმინდის ცალებზე შემომსხდარი შავ-შავი ბიჭები.

მოდებაძე: — ყველაფერი გვქონდა, გზის გარდა, თუმცა ქონება რად გინდა, თუ ქვეყანას მოსწყდები და მოშორდები. გასახლებამდე ჭერემში მუშაობდა ჩვენი სამყოფი ელექტროსადგური, ტელეფონი, ზეთის სახდელი, სახერხი ქარხანა. ჭერემ-ხევზე ოცდათხი წისქვილი გვედგა წყლისა. სიმინდისა და ხორბლის დასაფქვავად ჩვენთან მოდიოდა ჯიმითის, კაჭრეთის, გადრეკილის, დარამის, შიბლიანის, ყანდაურის, ნალიანის, ჩაილურის გლეხკაცობა.

ნიკო ოდიკაძე: — ოთხასამდე კომლი ცხოვრობდა ჭერემში, მაგრამ არ გამიგონია, რომ ჩვენში კაცს კაცი მოეკლას, ან ყაჩაღობა ჩაედინოს. მხოლოდ ერთი ბიჭი მახსოვს, აწეულ გიორგას ეძახდნენ. თხელი, დალეული კაცი იყო, თაგვები სოროში შეათრევდნენ, მაგრამ ხელი ჰქონდა რაღაც უბედურება მაგარი... მისი შეუხედავი ტანადობა ბერიკაობაზე ამოსულ სტუმრებს ხშირად ატყუებდა, ადვილად აუხირდებოდნენ ხოლმე აწეულ გიორგას. მერე კარავში იწვნენ და ვაი-დედას იძახდნენ... კიდევ მახსოვს ერთი-ორი შემთხვევა ომის წლებში: საქონელი მოიპარეს და ტყეში დაჰკლეს, ტყავი წაიღეს, ხორცი კი ხელუხლებელი დატოვეს.

რატომ დატოვეს?

ვითომ ჩვენ მშიერი, მაწანწალა ქურდები არ გეგონოთო. ჩვენ მხოლოდ საქალამნე ტყავი გვინდაო... ქალამანი მართლაც ძალიან ჭირდა იმ ავად მოსაგონარ წლებში.

შაქრო ბარბაქაძე: — სოფელს ყველაზე მეტად ძველი ხალხური თამაშობა — ბერიკაობა უყვარდა. ყველიერის კვირაში ორად გაყოფილი ჭერემი, ზედა უბანი და ქვედა უბანი, ნიღბების წარმოდგენას რომ მოათავებდა, მერე ბერიკები მოედანზე დადგებოდნენ, წრეს შეჰკრავდნენ წმინდა მარინეს თელის ძირში... დოლი საჭიდაოს დაიძახებდა. ქვედა უბნის ბერიკა ზედა უბნის ბერიკას ეძგერებოდა, მეხურჯინე — მეხურჯინეს, მედროშე — მედროშეს, მოლექსე-მოშაირე—მოლექსე-მოშაირეს, მეზურნე—მეზურნეს... საგანგებოდ არჩეული კაცები მაღლობ ადგილზე ისხდნენ და ამოწმებდნენ, ვისი იყო გამარჯვება, ვისი — დამარცხება.

ბერიკაობაზე თბილისიდან ჩამოდიოდნენ ჩვენი შვილები, — ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, მეცნიერ-მუშაკები. შებინდებისას გაიშლებოდა გრძელი სუფრა, ხარობდა სტუმარი და მასპინძელი, ხარობდა მთელი სოფელი.

გვქონდა საშუალო სკოლა, ჩინებული კლუბი, შდიდარი სამკითხველო.

რა გვარის ხალხი ცხოვრობდა ჭერემში?

ბარბაქაძე, მოდებაძე, აბესაძე, ხომასურიძე, მაისურაძე, ჯიბლაძე, ჩაფიძე, ჯაჭვაძე, ოდიკაძე, შენგელიძე, არევაძე, ჭანტურიძე, ბურდულაძე, შავიძე, ბერიძე, გელაშვილი,

დამავალი საფეხურებით

ᲘᲒᲘ კარგ ხელმძღვანელად ითვლებოდა. ეს ჩანს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დახასიათებიდან: „...თავი გამოიჩინა როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა, წარმოების უნარიანმა ორგანიზატორმა. 1973 წელს დაწინაურეს ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე... მანგანუმის ელექტრომეტალურგიის დარგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია... დისციპლინიანი მუშაკია, რომელიც გამოირჩევა მაღალი შრომისუნარიანობით... უდავოდ, პატიოსანი და საქმის ერთგული ადამიანია...“.

უნდა დავძინოთ, რომ არჩიელაკაძის ძე ექიტიშვილი დაწინაურეს შავი მეტალურგიის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოს დირექტორის თანამდებობაზე. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ძვირფასი პროდუქციით ამარაგებს ათობით ჩვენს და საზღვარგარეთის საწარმოებს.

სანამ დირექტორი გახდებოდა, ა. ექიტიშვილმა საწარმოში თითქმის ოც წელიწადს იმუშავა. იყო ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსის მოადგილე, საწარმოო განყოფილების უფროსი. მთავარი ინჟინრის მოადგილე. დიდი გამოცდილება, მეზანსწრაფოლობა და გერგილიანობა იმის საფუძველს იძლეოდა, რომ სამუშაოს თავს გაართმევდა, შეძლებდა სათავეში ჩასდგომოდა კოლექტივს, რომელიც, სხვათა შორის, ამ დანიშვნას სიხარულით შეხვდა. ეს კაცი ხომ აქ გაიზარდა, იცის მეტალურგიის შრომის ყადრი.

ახალმა დირექტორმა ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. დაწინაურა ჩამორჩენილი უბნები, მიაღწია იმას, რომ შეუფერხებლად მოდიოდა მანგანუმის მადანი ჭიათურიდან. წარმოება ფართოვდებოდა, სიმძლავრეები მატულობდა, და მალე ქარხანა მოწინავე გახდა. 1978 წელს კი ორი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

და უკვე მოულოდნელი რამ მოხდა. შარშან ოქტომბერში ა. ექიტიშვილი სამუშაოდან მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს სისხლის სამართლის კოდექსის ერთბაშად ოთხი მუხლით. შემდეგ იყო გამოძიება, სასამართლო გარჩევა და განაჩენი: თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით.

ზესტაფონის ქარხნის დირექტორი დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ სისტემატურად ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას და საწარმოში უსიფთხოების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის, შრომის დაცვის წესებს არღვევდა. სასამართლომ აღნიშნა: იყო ტექნოლოგიური წარმოების დარღვევები, სწორად არ უზრუნველნენ ექსპლოატაციას მტვერ და გაზსაწმენდ მოწყობილობას, ეფექტიანად არ მუშაობდა, ხშირად კი საერთოდ გაფუჭებული იყო სავენტილაციო დანადგარები, საამქროები მანგანუმის მტვრით იქსებოდა, წარმოების ნარჩენები გარემოს აბინძურებდა, ერთი სიტყვით, საწარმოს საამქროებში მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობას საფრთხე ექმნებოდა. გარდა ამისა, დირექტორი სისტემატურად არ ასრულებდა სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის მუშაკთა იმ მოთხოვნებს, რომ ზოგიერთი მუშა გადაიყვანა შრომის უფრო იოლი პირობების მქონე უბნებზე, ვინაიდან წინანდელ ადგილზე მათ პროფესიული დაავადების საფრთხე ექმნებოდათ.

სასამართლომ ექიტიშვილი ბრალდებულად ცნო კიდევ ერთ დანაშაულში — ავტომანქანის საჭესთან მჯდომმა იმსხვერპლა ბიჭი. და მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ მაშინ ექიტიშვილს თავი აურიდებია პასუხისმგებლობისათვის— იმთავითვე ყალბი (ეს დამტკიცა ექსპერტიზამ) ჩვენებები მიუცია სასამართლოსათვის საგზაო ავარიის შესახებ.

აი ასე: ერთი მხრივ, მოწინავე საწარმოს უნარიანი ხელმძღვანელი, მეორე მხრივ—კანონის დამრღვევი კაცი. ეტყობა, უნდა გავერკვეთ ამ წინააღმდეგობაში.

როგორც ვიცით, ნებისმიერი მეტალურგიული საწარმო თავისი მძლავრი სანდობი ღუმელებით გარემოს გაჭუჭყიანების პოტენციური წყაროა, მეტ-ნაკლებად. და რამდენად „მეტ-ნაკლებად“, ეს უკვე დამოკიდებულია საწარმოს ხელმძღვანელსა და პრობლემისადმი მის მიდგომაზე. ა. ექიტიშვილმა არსებითად თავი აარიდა მსხვილი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობის შესრულებას და თავმტობრივად არაფერი არ გააკეთა გარემოს ეფექტიანი დაცვის ორგანიზაციისა და ხელოვნური მუშაკების ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მაგრამ, იქნებ, ამ მიზნებისათვის არ გამოყოფდნენ საჭირო სახსრებს? ან, იქნებ, ყოფილი დირექტორისათვის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბრძის შესრულებას იყო გადაყოლილი, არავის შეუხსენებია ეს?

სისხლის სამართლის საქმეში არის დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ მტვერ და გაზსაწმენდი დანადგარების ასაგებად დაიხარჯა ორ მილიონ-ნახევარი მანეთი, და კიდევ თითქმის მილიონი— სავენტილაციო მოწყობილობისათვის. მაგრამ ამ უზარმაზარი დანახარჯების ეფექტიანობა ნულს უდრიდა: დანადგარები და მოწყობილობა სინამდვილეში უმოქმედოდ იყო.

„ქარხანაში არ არის ვენტილაციის ექსპლოატაციის სამსახური. მდგომარეობას ის ართულებს, რომ არა აქვთ გაზწმენდის ექსპლოატაციის სამსახური“. ეს სანიტარიული კომისიის მიერ შედგენილი აქტის სტრიქონებია, რომელმაც 1979 წლის სექტემბერში შეამოწმა საწარმო. ხოლო კიდევ უფრო ადრე თვითონ ქარხნის მუშაკებმა შეადგინეს საამქროებში მტვრიანობის შემცირებისა და ატმოსფეროში მტვრის გამოფრქვევის შემცირების ღონისძიებათა გეგმა. აქედან თერმიტი იწყებოდა სიტყვებით: „აღდგენილი იქნეს“. აღსადგენი იყო ის, რაც წლობით შენდებოდა, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარი გახდა არასწორი ექსპლოატაციის, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო. მაგრამ აღმდგენილიც რომ არავინ იყო!

და ბოლოს, გავიხსენოთ უფრო ძველი დოკუმენტები.

1973 წელს ქარხნის დირექტორისადმი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის ბრძანებით მუშაობა უნდა შეიწყვიტა № 1 სადნობ საამქროს — ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მთავარ წყაროს. ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილებანი მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

არც ბრძანება, არც გადაწყვეტილებანი ბოლომდე არ შესრულებულა. მაინც რამ შეუშალა ხელი? გულგრილობამ, მოშვებულობამ, საწარმოო დისციპლინის დარღვევამ. გეგმისათვის ზიანის მიუყენებლად № 1 საამქრო რომ გაეწერებინათ, ხომ საჭირო იყო № 4 სადნობ საამქროში წარმოების გაფართოება. მაგრამ დაგეგმილი ახალი სიმძლავრეები აქ საიპსპოლოატაციოდ ვერ გადასცეს. ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მეზობელ უბანზე ხანძრის დროს დაიწვა ტრანსფორმატორები და ისინი იმ ტრანსფორმატორებით შეცვალეს, რომელიც № 4 საამქროსათვის იყო გათვალისწინებული.

ახლა, ხანძარი რატომღა მოხდა? ელექტროდანადგარების ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევის გამო. მაშ ასე, ჩვენ იმავე მოტივებს მივადექით, რომლებიც სასამართლო გარჩევის დროს გაისმოდა.

კი მაგრამ, შეიძლება ეკითხოს მკითხველმა, რა ვუყოთ შეფასებებს: „წარმოების უნარიანი ორგანიზატორიო“, „დისციპლინიანი მუშაკიო“, „ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტიო...“?

ამ კითხვებს ცოტა ქვემოთ გავცემთ პასუხს. ჯერჯერობით კი მოკლედ შევეხებით იმას, თუ რა შედეგები მოჰყვა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილი დირექტორის ზემოთ აღნიშნულ დამოკიდებულებას გარემოს დაცვის პრობლემისადმი, შრომის დაცვის საკითხებისადმი.

ამ ბოლო წლების მანძილზე ქარხნის გარშემო ატმოსფეროში ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციამ დასაშვებ ნორმებს გადაჭარბა. საწარმოში ეკრანირებული არ არის სადნობი ღუმელები, აქ არცა ხიდურა ამწეების ოპერატორებზე უზრუნველყოფილი— მათი კაბინები შემინულიც კი არ ყოფილა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: ეს არაერთგზის შეუხსენებიათ დირექტორისათვის წერილობით სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციის —რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რესპუბლიკური პროფსაბჭოს, შრომის ტექნიკური ინსპექციის და სხვა ორგანიზაციების მუშაკებს. ქარხნის სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის მთავარ ექიმსაც არაერთხელ მოუთხოვია დირექტორისა და, რაც უფრო მაღლა იწერება, ეს ეკეთებოდა. ბოლოს, ბატონ ექიმს ეცინა: „ეს ბიჭები ალბათ ფულს ითხოვენ“. ეს ასეთი ფანტაზიორი ბიჭები ... ეს ... ეს ... ეს ...

ეს ... ეს ... ეს ...